

შპს „ენგურჰესი“



შპს „ენგურჰესის“ ტერიტორიის პერიმეტრის
შემომაკავებელ ღობეზე მავთულხლართის
მოწყობის და მიმდებარე ტერიტორიის
ხეებისა და ეკალ-ბარდისგან გასუფთავების სამუშაოები
ელექტრონული გენდერი

სატენდერო
დოკუმენტაცია

1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამადასტურებელი შემდეგი დოკუმენტები:

1.1. იურიდიული პირებისათვის:

1. ცნობა მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან, რომ არ ხორციელდება იურიდიული პირის რეორგანიზაცია ან ლიკვიდაცია;
2. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
3. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან რომ არ ხორციელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
4. ცნობა ბიუჯეტის წინაშე დავალიანების შესახებ

1.2. ფიზიკური პირებისათვის:

- 1) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან ნასამართლეობის შესახებ;
- 2) ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან, რომ მას არ აქვს შებენიანი ქმედითი ნარჩენი;
- 3) პირადობის მოწმობის ასლი.

1.3. ინდივიდუალური მფლობელებისათვის:

1. ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან;
2. ცნობა შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოდან რომ არ ხორციელდება გადახდისუუნარობის საქმის წარმოება;
3. პირადობის მოწმობის ასლი.
4. საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:
 - „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ. (ანარეზიდენტი პრეტენდენტის შემთხვევაში „ლ“ კვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყებამდე არაუგვიანეს 30 დღისა)
 - ანარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიული დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.
5. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით შეტყობინებაში მითითებულ მისამართზე. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის

ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2. პრეტენდენტის მიერ სატენდერო წინადადებასთან ერთად ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთი მონაცემები:

- ხარჯთაღრიცხვა, რომელიც შედგენილი უნდა იქნას საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2012 წლის 12 ივლისის №1-1/1463 ბრძანების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

ხ ა რ ჯ თ ა ლ რ ი ც ხ ვ ა (ფ ო რ მ ა)

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ	მასალები		ხელფასი		ჯამი ლარებში
				ერთ.ფასი	ჯამი	ერთ.ფასი	ჯამი	
1	2	3	4	5	6	7	8	9
	ჯამი:							
	სატრანსპორტო ხარჯი (მასალის ტრანსპორტირება 50-100 კმ მანძილიდან)							
	ჯამი:							
	შეღწევის ხარჯები —%							
	ჯამი:							
	გეგმიური დაგროვება —%							
	ჯამი:							
	დღგ 18 %							
	სულ ჯამი							

- ინფორმაცია საგარანტიო ვადებისა და პირობების შესახებ.
- შესყიდვაში მონაწილე მსურველი პირის რეკვიზიტები (მისამართი, ტელეფონი, ფაქსი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმოწერაზე უფლებამოსილი პირის მითითებით)
- ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ;

იმ შემთხვევაში თუ გამარჯვებული მიმწოდებლის მიერ სისტემაში დაფიქსირებულ საბოლოო ფასსა და სავარაუდო ღირებულებას შორის დაფიქსირდება 20%-ზე მეტი სხვაობა, ასეთ შემთხვევაში მიმწოდებელმა უნდა დაასაბუთოს ფასთწარმოქმნის ადეკვატურობა და მოთხოვნის შემთხვევაში უნდა წარმოადგინოს აუდიტორული კომპანიის დასკვნა შესაბამისობაზე.

მიმწოდებელმა, „ოკუ პირზეუ ლი ტერიტორიების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ოკოპირებლ ტერიტორიაზე ეკონომიკურ რეაბილიტაციის განხორციელებისათვის

ნებართვის მიღების საჭიროების შემთხვევაში შპს „ენგურჰესი“ თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაუწევს შუამდგომლობას შესაბამის სამინისტროში.

- თუ პროექტდენტის მიერ სისტემაში ატვირთული ტექნიკური დოკუმენტაცია შეუსაბამობაშია სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციაში მითითებულ მოთხოვნებთან, სატენდერო კომისიის გადაწყვეტილებით ხდება პროექტდენტის დისკვალიფიკაცია თანახმად „გამარტივებულ შესყიდვის, გამარტივებულ ელექტრონულ ტენდერისა და ელექტრონულ ტენდერის ჩატარების წესის“ მე-12 მუხლის მე-4 პუნქტისა.

3. ანგარიშსწორების პირობები:

3.1 სატენდერო წინადადებაში საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და გადასახადის გათვალისწინებით.

3.2 ანგარიშსწორება მოხდება უნაღდო ანგარიშსწორებით ეროვნულ ვალუტაში – ლარებში.

3.3 ანგარიშსწორება:

3.3.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება

3.3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღეში;

3.3.3 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის დამტკიცებისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

4. სამუშაოს შესრულების პირობები და ვადები:

4.1. სამუშაოს შესრულების ადგილია გალის რ-ნი დას. საბერიო შპს “ენგურჰესი“-ს ტერიტორია.

4.2 სამუშაოს შესრულების ვადაა 70 კალენდარული დღე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან.

4.3. მიმწოდებელს უფლება რჩება სამუშაო შეასრულოს ვადაზე ადრე.

5. მიღება – ჩაბარების წესი

5.1 სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებისა და მისი დამტკიცების შემდეგ.

6. ხარისხი და გარანტია.

6.1 საგარანტიო ვადაა 3 წელი. დამიანების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: დამიანების სიროთუ ლიდან გამომდინარე ერთი კვირის განმავლობაში.

6.2 საგარანტიო პერიოდი არ ეხება ფორსმაჟორუ ლი და მექანიკუ რი ზ ემოქმედებით მომხდარ დაზიანებებს.

ტექნიკური დავალება

შპს “ენგუ რჰესი” მდებარეობს აფხაზეთის ტერიტორიაზე, გალის რ-ნი, დას. საბერიოში.
 შპს “ენგუ რჰესი”-ს ტერიტორიის პერიმეტრის შემომაკავებელ ღობეზე მავთუ ლხლართის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის ეკალ-ბარდისგან გასუ ფთავების სამუ შაოები უ ნდა შესრუ ლდეს შემდეგი მოცუ ლობით:

№	სამუშაოს დასახელება	განზ	რაოდ
1	გასაკაფი ტერიტორიის სიგრძე – 1020 ვ/მ სიგანე 5მეტრი (ხეების დაჭრა, ეკალ-ბარდის გაკაფვა და ტერიტორიის დასუფთავება)	კვ.მ	5100
2	მოჭრილი ხეების გადაგანა ხელით 200 ვ/მ-ზე, ავგოსაგრანსპორტო საშუალებაზე დაგვიროვა და 1500 მ-ზე გაგანა	კუბ.მ	270
3	ღობეზე დამონტაჟებული ძველი ამორტიზირებული მავთულხლართის და კრონშტეინების დემონტაჟი	მ	1343
4	ახალი მავთულხლართის სამაგრი კრონშტეინების დამზადება და დამონტაჟება ღობის მთელ პერიმეტრზე	ც	540
5	გამზადებული კრონშტეინების შეღებვა	ც	540
6	მავთულხლართის დასამაგრებლად 3 მმ ფოლადის მავთულის გაჭიმვა მთელ პერიმეტრზე	მ	4030
7	ახალ კონსტრუქციაზე მავთულხლართის მონტაჟი	მ	1343
8	გრუნტის მოჭრა ხელით, დაგვიროვა ავგოსაგრანსპორტო საშუალებაზე და გაგანა 1 კმ-ზე	კუბ.მ	15
მასალა			
1	ბრიგვისებრი მავთულხლართი 70სმ		
2	ფოლადის მავთული დ 2-3მმ		
3	ელექტროდი 4მმ		
4	ფოლადის ზოლი 50X5		
5	ფიცარი 4 მმ		
6	ლურსმანი 100-120მმ		
7	საჭრელი ქვა დ-125 1მმ		
8	საჭრელი ქვა დ-230 1.5მმ		
9	ანტიკოროზიული საღებავი		
10	გამხსნელი		
11	ფუნჯი		
12	ღუბელი 50მმ დ-10		

რეკვიზიტები:

- მიმწოდებლის იურიდიული ფორმა და დასახელება;
- ხელმძღვანელის სახელი და გვარი;
- მიმწოდებლის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი;
- მიმწოდებლის საკონტაქტო ტელეფონის ნომრები;
- ელექტრონული მისამართი;
- ბანკის დასახელება და კოდი;
- ანგარიშსწორების ანგარიში;
- საინდენფიკაციო კოდი

ხელმოწერა-----

ბ.ა.

მიმწოდებელი ვაღიარებულობს გაეცნოს და დაეთანხმოს აფიდავიტის პირობებს, რა სახითაც იგი იქნება წარმოდგენილი სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში, სატენდერო წინადადების წარდგენამდე.

დამატებითი ინფორმაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგი საკონტაქტო პირისაგან:
სატენდერო კომისიის აპარატის წევრი:

რომანი ლაგვილავა 591 996699

ელ. ფოსტა romani.lagvilava@engurhesi.ge

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება №

----- 2014 წ.

ქ. ზუგდიდი

შპს „ენგურჰესი“, იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, ანა პოლიტკოვსკაიას ქ № 8, ფაქ. მღებარე გალის რ-ნი დას. საბერიოში, შემდგომში „შემსყიდველად“ წოდებული, მისი ღირეფქორთა საბჭოს თავმჯდომარის ლ. მებონიას სახით, რომელიც მოქმედებს საწარმოს წესდების შესაბამისად, ერთის მხრივ და

----- მეორეს მხრივ, შესყიდვების ერთიანი ელექტრონული სისტემით გამოცხადებული ტენდერის – ----- საფუძველზე დებენ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

პრეამბულა

- მხარეები ადასტურებენ, რომ წინამდებარე ხელშეკრულება სრულიად გამოხატავს მათ ნებას და თანაბრად იცავს უფლებებს, არცერთი მხარე არ სარგებლობს რაიმე უპირატესობით.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით ადასტურებენ და იძლევიან გარანტიას, რომ წინამდებარე ხელშეკრულება წარმოადგენს მათთვის ქმედითი იურიდიული ძალისა და შესასრულებლად უპირობოდ მოვალეობად სამართლებლივ დოკუმენტს.
- მხარეები სრული პასუხისმგებლობით აცხადებენ, რომ თითოეული მათგანი მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.
- მხარეები იძლევიან გარანტიას და ადასტურებენ, რომ მათ გააჩნიათ სრული სამართლებრივი უფლებამოსილება აღნიშნული ხელშეკრულების გასაფორმებლად.

1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები

- 1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“ (შემდგომში-„ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.
- 1.2. „ხელშეკრულების ღირებულება“ –საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ბედმიწევნით შესრულებისათვის.
- 1.3. „დღე“, „კვირა“, „თვე“ - კალენდარული დღე, კვირა, თვე.
- 1.4. „შემსყიდველი“ – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
- 1.5. „მიმწოდებელი“ – პირი, რომელიც ახორციელებს მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.
- 1.6. „სამშენებლო სამუშაო“ – ხელშეკრულების მე-2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი.
- 1.7. “ტექნიკური დავალება” – სატენდერო დოკუმენტაციის ტექნიკური დავალება, დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

2. ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკატორის კოდი

2.1. შესყიდვის ობიექტია:

შპს „ენგურჰესის“ ტერიტორიის პერიმეტრის შემომაკავებელ ღობეზე მათუღხლართის მოწყობა და მიმდებარე ტერიტორიის ხეებისა და ეკალ-ბარდისგან გასუფთავების სამუშაოები.

2.2 კლასიფიკატორის კოდია: 45342000.

3. ხელშეკრულების ფასი და ანგარიშსწორების პირობები.

- 3.1 სახელშეკრულებო ფასი შეადგენს: ----- ლარს ყველა ხარჯისა და კანონით გათვალისწინებული ყველა გადასახადის ჩათვლით;
- 3.2 ანგარიშსწორების ფორმაა უნაღლო;
- 3.3 ანგარიშსწორება:
 - 3.3.1 წინასწარი ანგარიშსწორება არ განიხილება
 - 3.3.2 ანგარიშსწორება განხორციელდება ეტაპობრივად, ფაქტიურად შესრულებულ სამუშაოებზე მიღება – ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 5 საბანკო დღეში;
 - 3.3.3 საბოლოო ანგარიშსწორება მოხდება ინსპექტირების ჯგუფის მიერ საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის შედგენისა და ფინანსური დოკუმენტაციის წარდგენიდან 10 (ათ) საბანკო დღეში.

4. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

- 4.1 შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
- 4.2 სამუშაოს მიმდინარეობის კონტროლს განახორციელებს ინსპექტირების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით: შპს „ენგურჰესი“-ს სტგ- უფროსი რ. გვაგვალია, ჯგუფის ხელმძღვანელი.
შპს „ენგურჰესი“-ს სტგ-ს ინჟინერი – რ. ჯანჯღავა;
შპს „ენგურჰესი“-ს შესყიდვებისა და მომარაგების სამსახურის სპეციალისტი – რ. ლაგვილავა,
- 4.3 ინსპექტირების ჯგუფი წარუდგენს დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარეს ანგარიშს სამუშაოს მიმდინარეობის შესახებ.

5. მხარეთა უფლებები და მოვალეობანი

- 5.1 “მიმწოდებელი” კისრულობს ვალდებულებას:
 - მკაცრად დაიცვას სამუშაოს დამთავრების სახელშეკრულებო ვადები;
 - მკაცრად დაიცვას შრომის დაცვის, უსაფრთხოების წესები და ნორმები;
- 5.2 “შემსყიდველი” კისრულობს ვალდებულებას:
 - სამუშაოს დასრულების შემდეგ დროულად აუნაზღაუროს “ მიმწოდებელს ” შესრულებული სამუშაოს ღირებულება წინამდებარე ხელშეკრულების 3.3 პუნქტით გათვალისწინებული პირობების სრული დაცვით.

6. სამუშაოს შესრულების პირობები და საგარანტიო ვადები

- 6.1. მომწოდებელი ვალდებულია სამუშაო შეასრულოს საკუთარი სამშენებლო მასალებით.
- 6.2. სამუშაოს შესრულების ვადაა 70 კალენდარული დღე ხელშეკრულებაზე ხელისმოწერის დღიდან
- 6.3 საგარანტიო ვადა და პირობები
- 6.3.1 საგარანტიო ვადა 3 წელი. დაზიანების თაობაზე შეტყობინების მიღებიდან რეაგირება 24 საათის განმავლობაში, აღდგენა: დაზიანების სირთულედან გამომდინარე ერთი კვირის განმავლობაში.
- 6.3.2 საგარანტიო პერიოდი არ ეხება თორსმაჟორუ ლი და მექანიკური ზემოქმედებით მომხდარ დაზიანებებს.

7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

- 7.1 სამუშაო ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

8. მხარეთა პასუხისმგებლობები

- 8.1 ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არასათანადოდ შესრულების შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ კანონით გათვალისწინებული წესით.
- 8.2 მხარეები ვალდებულებას კისრულობენ აუნაზღაურონ ერთმანეთს წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობით ერთმანეთისათვის მიყენებული ზარალი.
- 8.3 იმ შემთხვევაში, თუ “ მიმწოდებელი” 10 დღეზე მეტად გადააცილებს სამუშაოს შესრულების ვადას, მას სავალდებულო წესით ეკისრება ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე ჯარიმა “ შემსყიდველის” წინაშე შესასრულებელი სამუშაოს ღირებულების 0,07%-ის ოდენობით.
- 8.4 გადახდის დაგვიანების შემთხვევაში “ შემსყიდველი” გადაიხდის “ მიმწოდებლის” სასარგებლოდ შესრულებული სამუშაოს ღირებულების 0,07%-ს ყოველ გადაგადაცილებულ დღეზე.

9. ხელშეკრულების პირობებისა და ფასების გადასინჯვა.

- 9.1. ყველა დამატება ან შესწორება ამ ხელშეკრულების ირგვლივ ძალაშია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ისინი ხელმოწერილი და დადასტურებულია ორივე მხარის მიერ.
- 9.2. მხარეებს შეუძლიათ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება თუ მეორე მხარე ან არ ან ვერ ასრულებს სახელშეკრულებო პირობებს. შეწყვეტის შესახებ მხარეები აცხადებენ ერთმანეთს დაუყოვნებლივ მიზეზების ჩვენებით. ხელშეკრულების შეწყვეტამ არ უნდა გამოიწვიოს რომელიმე მხარის უფლებების შელახვა.
- 9.3. ფასთა ცვლილება განიხილება სამუშაოთა მოცულობაში ცვლილებების ან/და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398 მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში

10. ფორს - მაჟორი

- 10.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის ფორს-მაჟორულ სიტუაციებში;
- 10.2. ფორს-მაჟორული გარემოება ნიშნავს ნებისმიერ მოვლენას, გარემოებას და ან მათ კომბინაციას, რომელიც არ არის კონტროლირებადი არც ერთი მხარის მიერ და

რომელმაც (ან რომლის შედეგმაც) შეიძლება მნიშვნელოვნად და უარყოფითად იმოქმედოს მოცემული მხარის უნარზე შეასრულოს თავისი ვალდებულებები, რომელიც წარმოიშვება ამ ხელშეხრულების მიხედვით, თუმცა იმ პირობით, რომ ასეთი მოვლენა, გარემოება და ან მათი კომბინაცია არ ჩაითვლება ფორს-მაჟორულ გარემოებად, თუ იგი არ შეიძლებოდა მთლიანად ან ნაწილობრივ თავიდან აცილებულ ან გამოსწორებული ყოფილიყო დამკვეთი მხარის მიერ.

10.3. ფორს-მაჟორული გარემოებები შეიძლება მოიცავდეს შემდეგ გარემოებებს, რომლებიც ვერ იქნება კონტროლირებადი მხარეთა მიერ: საომარი მოქმედება (გამოცხადებული ან გამოუცხადებელი), ბლოკადა, რევოლუცია, რადიოაქტიური დაბინძურება ან იონიზირებული რადიაცია, ხანძარი, მიწისძვრა, შტორმი, ციკლონი, ეპიდემია, საქართველოს აღმასრულებელი ან საკანონმდებლო ხელისუფლების მიერ გამოცემული ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზე შეუძლებელი ხდება წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1. ხელშეკრულება ძალაშია 2014 წლის -----

11.2 ხელშეკრულების მოქმედების საერთო ვადის დენა იწყება ხელშეკრულების ხელმოწერის მომენტიდან

12. სადაო საკითხების გადაწყვეტა

12.1. მხარეები წამოჭრილ სადაო საკითხებს წყვეტენ ურთიერთშეთანხმებით წერილობითი შეტყობინებების და შესაბამისი წესით გაფორმებული დოკუმენტების საშუალებით. იმ შემთხვევაში, თუ მხარეებმა ვერ მიაღწიეს საბოლოო შეთანხმებას, სადაო საკითხი წყდება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

13. მხარეთა იურიდიული მისამართები და რეკვიზიტები.

“შემსყიდველი”	“მიმწოდებელი”
შპს “ენგურჰესი”	
ს/კოდი-251716371	
იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი. ა. პოლიტკოვსკაის ქ. 8 ფაქტიური მდებარეობა გალის რაიონი დას. საბერიო.	
სს „პროკრედიტ ბანკის“ ქუთაისის ფილიალის მუგდიდის განყოფილება	
ბ/კოდი MIBGGE22	
ა/ა GE59PC0173600100015015	
დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარე	
_____ ლ. მეზონია	